ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ შომახეთში, გოგატიშვილების უბნის გზაზე რკ/ ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ შომახეთში, მაზაშვილების უბნის გზაზე რკ/ ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ შომახეთში, შიუკების უბნის გზაზე რკ/ ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ ნიგვზარაში, ტაბატაძეების უბნის გზაზე რკ/ ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ ნიგვზარაში, ჩოყნარის უბნის გზაზე რკ/ ბეტონის საფარის მოწყობა; არგვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ შალაურში შიდა საუბნო გზაზე რკინა ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები; სოფელ უზუნთაში საჩხერე ონის დამაკავშირებელი გზიდან ზემო უბანში გზაზე რკინა ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები; სოფელ საირხეში ჭიხორიების საუბნო გზაზე რკინა ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ ჭორვილაში ქვედა გამგებლების უბანში გზაზე რკინა ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ ჭორვილაში ნადირაძეების საუბნო გზაზე რკინა ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ საირხეში ვეშაპიძეების უბანში, მარინა ვეშაპიძის სახლამდე რკინა ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ საირხეში ქველაძეები-ენუქიძეების უბანში რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ საირხეში ქველაძეების უბანში, კახა ქველაძის სახლის ჭიშკრამდე რკინა-ბეტონის საფარისმოწყობა; სოფელ ჭორვილაში ლომიძეების საუბნო გზაზე რკინა ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ ჭორვილაში სასაფლაოსთან მისასვლელ გზაზე რკინა ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ საირხეში კურტანიძეების საბნო გზაზე რკინა ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ საირხეში მევლუდი კურტანიძის სახლისკენ მიმავალ საუბნო გზაზე რკინა ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ დუნთაში ოთარი ზამბახიძის სახლის წინ გზის განივად რკ/ბეტონის ღარის და მდ. დუნთურაზე სწორკუთხა რკ/ ბეტონის მილის მოწყობა; სოფელ სხვიტორში მარინა ზამბახიძის სახლის მიმდებარედ მონოლითური რკ/ბეტონის ღარის მოწყობა; სოფელ ქვედა ორღულში, კალმახელიძეებიდან ნადირაძეებისაკენ მიმავალ სასაფლაოს გზაზე რკ/ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ ქვედა ორღულში, დომნა ქველიძის სახლთან რკ/ბეტონის ღარის მოწყობა; სოფელ სხვიტორში მაგული სამხარაძის სახლის მიმდებარედ რკ/ბეტონის ღარის მოწყობა; სოფელ მერჯევში, სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები; სოფელ სხვიტორში, ელგუჯა ომიაძის სახლთან წყალამრიდის მოწყობის სამუშაოები; გამოღმა არგვეთში კიპაროიძეების უბანში სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები; სოფ. გორისაში შეყლაშვილების უბანში სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები; სოფელ სავანეში ერაძეების უბანში რკინა ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა; სოფელ არგვეთში კიპაროიძეების უბანში რკინა ბეტონის ღარის მოწყობა; სოფელ სავანეში სკოლასთან რკინა ბეტონის ღარის მოწყობა;

-კორბოულის და ჯალაურთის ადმინისტრაციულ ერთეულში გზების რეაბილიტაცია-მოხრეშვა; საირხისა და ჩიხის ადმინისტრაციულ ერთელში გზების მოწყობა; სოფელ მოძვში ნოზაძეების უბანში რკინა ბეტონის გზის მოწყობა; სოფელ ბაჯითში პროფესიულ სასწავლებელთან მისასვლელ გზაზე რკინა ბეტონის გზის საფაროს მოწყობა; კორბოულის, ჩიხის ადმინისტრაციულ ერთეულში გზების რეაბილიტაცია; სარეკის, საირხის, მერჯევის, კორბულის, გორისისი, არგვეთის, ჩიხის, ჯალაურთის ადმინისტრაციულ ერთელში გზებზე რკინა-ბეტონის გზის მოწყობა;

-ჭალის ადმინისტრაციულ ერთეულში საუბნო გზებზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა; ჭალოვანის ადმ. ერთეულეში საუბნო გზებზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ ჯრიაში გზაზე რკინა ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ ცხამში სხირტლაძეების უბანში გზაზე რკ-ბეტონის საფარის მოწყობა; სარეკის ადმინისტრაციულ ერთელში გზებზე რკინა-ბეტონის გზის მოწყობა; სოფელ გამოღმა არგვეთში გოჩა გაგნიძის სახლთან სანიავრე არხის მოწყობა.

-მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების მოხრეშვითი სამუშაოები; საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა; სოფელ ჯრიაში რკინა ბეტონის გზის მოწყობა; საჩხერე-პერევის დამაკავშირებელი გზის მე-5 კილომეტრზე ძლიერი წვიმების შედეგად დაზიანებული გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია; საჩხერე-პერევის დამაკავშირებელი გზის მე-5 კილომეტრზე მალხაზ ჭიღლაძის სახლთან ძლიერი წვიმების შედეგად დაზიანებული გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია და საყრდენი კედლის მოწყობა; საჩხერე-პერევის დამაკავშირებელი გზის მე 4-5 კილომეტრზე გზის ორმოული შეკეთება; სოფ. ჭორვილაში ბარბაქაძეები-ბურძენიძეების უბნისკენ მიმავალ გზაზე რკ/ბეტონის მილის დ-1.5 მეტრი მოწყობა; სოფ. საირხეში ჭიღლაძეების უბანში, დამეწყრილ უბანში სანიაღვრე არხის მოწყობა; ოფ. ჭორვილაში ზუბიაშვილების უბანში სანიაღვრე არხის მოწყობა; სოფ. ჭორვილაში გამგებლების უბანში სანიაღვრე არხების მოწყობა; სოფ. ჭორვილაში მაჭარაშვილები-წერეთლების უბანში არსებული დაზიანებული ბეტონის საფარის აღდგენა და სანიაღვრე არხის მოწყობა; სოფ. კალვათაში კერძო მოსახლე მარუსა ხარაზოვის შესასვლელში რკ/ბეტონის მილის მოწყობააათასი ლარი; სოფ. სარეკში ლაბაძეები-აბრამიშვილების უბანში (ე.წ. კულას უბანი) გზაზე გაბიონის კედლის და სანიაღვრე არხის მოწყობა; ჭალის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ. სპეთში მაცხოვრის სალოცავისკენ მიმავალ გზაზე ქვედა დავაძეების უბანში, გზის მონაკვეთის სავალი ნაწილის გაფართოება და გაბიონის კედლის მოწყობა; ჭალის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ. დარყაში ჭალა პერევის დამაკავშირებელ გზაზე (მარკეტის

მიმდებარე ტერიტორია) გაბიონის საყრდენი კედლის მოწყობა; მერჯევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ. მერჯევში დეკანოიძეების უბანში რკ/ბეტონის ღარის მოწყობა;

**ქვეპროგრამის მიზანია:** პროექტების განხორციელების შედეგად შემცირდება გამოფრქვევები და გზის გაუმართაობის შედეგად გზაზე წარმოქმნილი მტვერი, გზის რეაბილიტაცია დადებითად იმოქმედებს სოფლებიდან ადგილობრივი მოსახლეობის მიგრაციის შემცირებაზე.

**ქვეპროგრამა კავშირშია მდგრადი განვითარების შემდეგ მიზანათან**: SDG 3, SDG 9, SDG 11.

**1.2 პროგრამა: წყლის სიტემების განვითარება (პროგრამული კოდი 02 02)**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების ქსელის შპს ,,საჩხერის წყალკანალი“-ის (მათ შორის, წყლის სათავე ნაგებობების, წყლის მაგისტრალების და სხვა) განვითარების ხელშეწყობას. წყლის სისტემების განვითარების პროგრამა შედგება ორი ქვეპროგრამისაგან: 1. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წყალმომარაგება, რეაბილიტაცია, მშენებლობა. 2. საკანალიზაციო სისტემის, კოლექტორების და გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა. საჭიროების შემთხვევაში ასევე ხორციელდება ახალი წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები. ქვეპროგრამა ფინანსდება როგორც ადგილობრივი ბიუჯეტის სახრებით ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდანაც.

წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგების პროცესში გათვალისწინებული იქნება გენდერული საჭიროებები და სამუშაოების განხორციელების შედეგად მოეწყობა გენდერულად მგრძნობიარე ინფრასტრუქტურა. წყალმომარაგების სისტემის მოწყობისა და მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდების შედეგად გაუმჯობესდება საცხოვრებელი პირობები, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყველა კატეგორიისათვის.

**პროგრამის მიზანია:** წყლის სისტემების და სანიაღვრე არხების გამართული ფუნქციონირება, მოსახლეობის წყალმომარაგების მომსახურების გაუმჯობესება, წყლის მოხმარების დონის ამაღლება ოჯახებში. წყლის სისტემების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. უწყვეტი და მოთხოვნის შესაბამისი წყალმომარაგების უზრუნველყოფა.

**პროგრამა კავშირშია მდგრადი განვითარების შემდეგ მიზანათან**: SDG 6, SDG 11.

**1.2.1 ქვეპროგრამა -მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წყალმომარაგება, რეაბილიტაცია, მშენებლობა (პროგრამული კოდი 02 02 01)**

წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული (წლის სისტემის რეაბილიატაცია, ახლის მოწყობა), ასევე მომსახურების (წლის სისტემის ექსპლოტაცია), რაც შეეხება მის ხანგრძლივობას იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიანს, ამ ეტაპზე ქვეპროგრამა გულისხმობს მუნიციპალიტეტის კონკრეტული დასახლებებისათვის წყალმომარაგებას. პროგრამით ხორციელდება შპს ,,საჩხერის წყალკანალის“ სუბსიდირება. შ.პ.ს ,,საჩხერის წყალკანალის“ მომხმარებლის არიალში ამ ეტაპზე შედის ქ. საჩხერე და მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლები: იცქისი, არგვეთი, სავანე, მერჯევი, ივანწმინდა, გორისა, გამოღმა არგვეთი, უზუნთა, ბაჯითი, სარეკი, საირხე, ჭორვილა, სხვიტორი, ჩიხა, ორღული, ჭალა, სპეთი, დარყა, ჯრია, პერევი. ქალაქ საჩხერის წყალმომარაგება ხდება ე.წ. გალერიიდან. მაგისტრალური წყალსადენით და ასევე ე.წ. საირხის სათავე ნაგებობების 4 ჭაბურღილიდან. აღნიშნული სათავეებიდან წყალი მოეწოდება ცეტრალურ სატუმბო სადგურს, საიდანაც წყლის მიწოდება ხდება ტუმბოების საშუალებით, ქ. საჩხერის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებზე განლაგებულ 4500მ$^3$ ტევადობის რეზერვუარებში, ხოლო რეზერვუარებიდან წყლის მიწოდება ხდება შიდა ქსელში. რაც შეეხება სოფლებს იცქისი, არგვეთი, სავანე, მერჯევი, ივანწმინდა, გორისა, გამოღმა არგვეთი, მათი მომარაგება ხდება სოფელ იცქისის სათავე ნაგებობაზე მდებარე 3 ჭაბურღილიდან, საიდანაც ვერტიკალური ტუმბოების საშუალებით წყალი მიეწოდება შვიდ სოფელში განლაგებულ რეზერვუარებს ოთხი დამოუკიდებელი მიმწოდებელი მილების მეშვეობით. რეზერვუარებიდან წყალი ნაწილდება სოფლების შიდა ქსელებში, როგორც სოფლებში ასევე ქ. საჩხერეში გამრიცხველიანებულია მთლიანი აბონენტების 99%. უზუნთის კაპტაჟებიდან თვითდინებით წყალი მიეწოდება სოფელ უზუნთას, ბაჯითს, სარეკს, საირხეს, ჭორვილას. სკინტავის

კაპტაჟებიდან თვითდენითი წყალი მიეწოდება (სოფლები სხვირტორი, ჩიხა, ორღული, ჭალა). პერევის კაპტაჟებიდან თვითდენითი წყალი მიეწოდება (პერევი, ჭალა, ჯრია, დარყა, სპეთი). კომპანია ამ ეტაპზე საჩხერის მუნიციპალიტეტის აბონენტების 60% წყალს აწვდის და წყალარინების მომსახურება 20% შეადგენს. 24 საათიანი წყალმომარაგება სუფთა და ხარისხიანი წყლით, მაგისტრალური მილსადენების სიგძე შეადგენს 68 კმ-ს, გამანაწილებელი ქსელის სიგრძე 200 კმ-ს, საყოფაცხოვრებო აბონენტების რაოდენობა შეადგენს 12179-ს, იურიდიული 694-ს, სულ ჯამში 12873-ს. წყლით მომარაგება აუცილებელი სასიცოცხლო პირობაა ქალებისათვის, მამაკაცებისათვის, ბავშვებისათვის, შშმ პირებისათვის. ასევე ქვეპროგრამით განხორციელდება: სოფელ ჯალაურთაში კოკალაურის წყაროს რეაბილიტაცია.

-სოფელ მოხვაში მერმანიშვილების უბანში არსებული წყაროს კეთილმოწყობის სამუშაოები.

-მოხვაში ომიაძეების უბნის წყაროსა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;

-სოფელ ცხამში, ეთო-ეხვევის უბნის წყალმომარაგების სისტემისათვის შემკრებისა და პლასტმასის მილის მოწყობა.

**რგპფ**-ების თანადაფინანსების ფარგლებში განხორციელდება სოფელ იტავაზაში სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები.

**ქვეპროგრამის მიზანია:** 24 საათიანი წყალმომარაგება, სუფთა და ხარისხიანი წყლის უწყვეტი მიწოდება ქალებისათვის, მამაკაცებისათვის, ბავშვებისათვის, შშმ პირებისათვის. (არსებული ლაბორატორიის გადაიარაღება); წყლის დანაკარგების არსებულ ნიშნულზე შენარჩუნება; არსებული ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ნორმების, მისთვის განსაზღვრული პირობების შენარჩუნებით და თავისდროული მიმდინარე შეკეთებით; მოწესრიგებული წყლის სიტემები, ასევე წყლის სისტემების გაზრდილი რაოდენობა.

**ქვეპროგრამა კავშირშია მდგრადი განვითარების შემდეგ მიზანათან**: SDG 6.

**1.2.2 ქვეპროგრამა -საკანალიზაციო სისტემების, კოლექტორების და გამწმენდი ნაგებობების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 020202)**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ყველა კატეგორიის დასახლებებში საწარმოო და საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების, საკანალიზაციო სისტემების გამწმენდი ნაგებობების, წყალარინების და სანიაღვრე სისტემების მოწესრიგებას და განვითარებას, იგეგმება მუნიციპალიტეტში **რგპფ-ის** თანადაფინანსება - ქალაქ საჩხერეში თამარ მეფის ქუჩიდან გომართლის ქუჩამდე სასმელი წყლის სისტემისა და კანალიზაციის ქსელის მოწყობა; სოფელ სხვიტორში კანალიზაციის სისტემის მოწყობა და სხვა.

-სოფელ სხვიტორში კანალიზაციის სისტემის მოწყობა; ქ. საჩხერეში თამარ მეფის ქუჩიდან გომართლის ქუჩამდე სასმელი წყლის სისტემისა და კანალიზაციის ქსელის მოწყობა.

-ქალაქ საჩხერეში ეგრეთ წოდებული გელბახიანების ტბის სადრენაჟე სისტემის მოწყობა.

**ქვეპროგრამის მიზანია:** მოწესრიგებული საკანალიზაციო სისტემები.

**ქვეპროგრამა კავშირშია მდგრადი განვითარების შემდეგ მიზანათან**: SDG 6, SDG 11.

**1.3 პროგრამა -გარე განათება (პროგრამული კოდი 02 03 )**

ღამის საათებში მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალების, ბავშვების, ხანდაზმულ და შშმ პირთა კონფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის მნიშვნელოვანია გარე-განათების სისტემის მოწყობა და მისი გამართული ფუნქციონირება, პროგრამა ითვალისწინებს საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერირორიაზე გარე განათების ორგანიზებასა და სრულყოფილ ფუნქციონირებას კერძოდ: ქუჩების, სკვერების, ბაღების (დასვენების პარკები), სატრანსპორტო და საფეხმავლო ხიდების განათების ქსელის მოვლასა და ექსპლოატაციას. ასევე მუნიციპალიტეტის სოფლების: სხვიტორის, ჩიხის, ორღულის, პერევის, სავანის, არგვეთის, ჭორვილის, კალვათის, ივანწმინდის, საირხის, მერჯევის, იცქისის, სარეკის მიმართულებით ცენტრალური გზებისა და გომი-საჩხერე-ჭიათურის გზის

საჩხერის მონაკვეთზე განლაგებული გარეგანათების ქსელის მოვლა-ექსპლოატაცია.

**პროგრამის მიზანია**: ღამის პერიოდში განათებული საჩხერის მუნიციპალიტეტი.

**პროგრამა კავშირშია მდგრადი განვითარების შემდეგ მიზანათან**: SDG 11.

**1.3.1 ქვეპროგრამა - გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 03 01)**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება დოსითეოს/წერეთლის ქუჩაზე გარეგანათების მოწყობა და სხვა.

-მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების მოხრეშვითი სამუშაოები.

**ქვეპროგრამის მიზანია:** ღამის პერიოდში განათებული ქუჩების გაზრდილი რაოდენობა საჩხერის მუნიციპალიტეტში.

**1.3.2 ქვეპროგრამა - გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 03 02)**

პროგრამა ითვალისწინებს საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარეგანათების ორგანიზებასა და სრულყოფილ ფუნქციონირებას, კერძოდ; ქუჩების, სკვერების, ბაღების (დასასვენების პარკები), სატრანსპორტო და საფეხმავლო ხიდების განათების ქსელის მოვლასა და ექსპლუატაციას. ასევე მუნიციპალიტეტის სოფლების: სხვიტორის, ჩიხის, პერევის, სავანის, არგვეთის, ჭორვილის, კალვათის, ივანწმინდის, საირხის, მერჯევის მიმართულებით ცენტრალური გზებისა და გომი-საჩხერე-ჭიათურის გზის საჩხერის მონაკვეთზე განლაგებული გარეგანათების ქსელის მოვლა-ექსპლუატაციას.

**ქვეპროგრამის მიზანია:** ღამის პერიოდში განათებული საჩხერის მუნიციპალიტეტი.

**1.4 პროგრამა -მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 04 )**

კეთილმოწყობის პროგრამაში იგულისხმება მუნიციპალიტეტში არსებული საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა რეაბილიტაცია, სასაფლაოების მოვლა-პატრონობა, ასევე კეთილმოწყობის ობიექტების (პარკები, სკვერები) მშენებლობა-რეაბილიტაცია.

**პროგრამის მიზანია:** მოწესრიგებული მუნიციპალიტეტის იერსახე, მიმზიდველი გარემოს შექმნა მაცხოვრებლებისათვის და სტუმრებისთვის.

**პროგრამა კავშირშია მდგრადი განვითარების შემდეგ მიზანათან**: SDG 11.

**1.4.1 ქვეპროგრამა -სასაფლაოების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 02 04 01)**

ქვეპროგრამის ფარგლებში იგეგმება არგვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლებში სასაფლაოების შემოღობვა და სხვა.

-ჩიხის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ დუნთაში სასაფლაოს ტერიტორიის შემოღობვა;

**ქვეპროგრამის მიზანია**: დაცული სასაფლაოები.

**1.4.2 ქვეპროგრამა - სკვერების მოწყობა და მომსახურება (პროგრამული კოდი 02 04 02)**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება არგვეთის, გორისის ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალ სოფლებში დასასვენებელი სივრცის მოწყობა; ჯალაურთის ადმინისტრაციულ ერთეულში სკვერების კეთილმოწყობა; არგვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლებში სკვერის შემოღობვა და სხვა.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აგვისტოს №1419 განკარგულებით ,,2020-2022 წლების

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში“ განხორციელდება ქალაქ საჩხერეში დოსითეოს წერეთლის ქუჩის გასწვრივ საქალაქო პარკის მოწყობა.

**ქვეპროგრამის მიზანია**: დასასვენებელი და გასართობი სივრცის შექმნა ქალაქის ტერიტორიაზე, ტურზმის მომსახურების სფეროს ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესება.

**1.4.3 ქვეპროგრამა -ქალაქის კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 02 04 03)**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. საჩხერეში მერაბ კოსტავას, მ. მაჭვარიანის და თამარ მეფის ქუჩების ფასადებისა და ღობეების კეთილმოწყობის სამუშაოები; რგპფ-ის თანადაფინანსება; ქ. საჩხერეში, ციხე მოდინახეზე სკვერის მიმდებარედ სველი წერტილისა და ფანჩატურის მოწყობა; ციხე მოდინახისკენ მიმავალ გზაზე შლაგბაუმისა და პირუტყვის საწინააღმდეგო ბარიერის მოწყობა და სხვა.

-ქ. საჩხერეში, დასასვენებელი სივრცეებისა და ფანჩატურების მოწყობა.

-ქ. საჩხერეში კეთილმოწყობის სამუშაოები.

**ქვეპროგრამის მიზანია**: გაუმჯობესებული მუნიციპალიტეტის იერსახე, ტურიზმის მომსახურების სფეროს ხელშეწყობა.

**1.5 პროგრამა - ბინათმშენებლობა (პროგრამული კოდი 02 05)**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. საჩხერეში ლიფტების რეაბილიტაცია.

**რგპფ-ის** თანადაფინანსების ფარგლებში განხორციელდება ქ. საჩხერეში, ცენტრალურ უბნებში ფასადებისა და ქუჩების რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი).

2023 წლის 20 იანვრის №116 განკარგულებით, ,,სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ ფარგლებში განხორციელდება სახლის სახურავის მასალების სახელმწიფო შესყიდვა.

-კორბოულის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფელ შომახეთში საცხოვრებელი სახლის სახურავის შეძენა; ქ. საჩხერეში სამი ერთეული მრავალბინიანი კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია.

-ქ. საჩხერეში, ლიფტების რეაბილიტაცია.

-საჩხერის მუნიციპალიტეტში დაზიანებული (მრავალბინიანი კორპუსი და კერძო საცხოვრებელი სახლები) სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაო.

**ქვეპროგრამის მიზანია**: მუნიციპალიტეტის გაუმჯობესებული იერსახე.

**პროგრამა კავშირშია მდგრადი განვითარების შემდეგ მიზანათან**: SDG 11.

**1.6 პროგრამა - მდინარის ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 06)**

ქვეპროგრამის ფარგლებში **2023 წლის 20 იანვრის №116 განკარგულებით,** ,,სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ განხორციელდება სოფელ ხვანში ვაჟა შუბითიძის სახლთან გაბიონის მოწყობა; სოფელ დურევში მდინარე დურევულაზე ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობა; სოფელ იტავაზაში მდინარე იზვარაზე ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობა; ეთო ეხვევის გზაზე ჩაწყვეტილ უბანზე გაბიონის კედლისა და რკინა ბეტონის ღარის მოწყობა; საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ღელე საირხულასა და მერჯეულას შემკრები საწისქვილე არხის გაწმენდისა და ნაპირსამაგრი სამუშაოები და სხვა.

-ჭალის ადმინისტრაციულ ერთეულში შუშის ხეობაში გაბიონისა და გზის საფარის მოსაწყობა;

-მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაბიონის მოწყობა.

**ქვეპროგრამის მიზანია:** მოწყობილი მდინარის დამცავი ჯებირი.

**პროგრამა კავშირშია მდგრადი განვითარების შემდეგ მიზანათან**: SDG 9, SDG 11.

**1.7 პროგრამა -სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტები ( პროგრამული კოდი 02 07)**

პროგრამა ითვალისწინებს სოფელ ჯალაურთაში ადმინისტრაციული შენობის რემონტს; სოფელ დარყის სარიტუალო დარბაზის კეთილმოწყობას; არგვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლებში ფანჩატურების მოწყობა; სოფელ ზახიოთისა და დურევის სარიტუალო დარბაზისთვის სკამების და მაგიდების შეძენა; ქორეთის ადმინისტრაციულ ერთეულში უდერძის სალოცავის მიმდებარედ ფანჩატურების მოწყობა; საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სადემონტაჟო სამუშაოები და სხვა.

**საქართველოს მთავრობის განკარგულება N2476 ფარგლებში** განხორციელდება: სოფელ ქვემოხევში საავტომობილო გზის გასწვრივ დამცავი ბარიერის მოწყობა.

**საქართველოს მთავრობის განკარგულება N2401 ფარგლებში** მუნიციპალიტეტის 13 ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდება სხვადასხვა სამუშაოები, მათ შორის: გარე-განათების, მოსაცდელების, რკინა-ბეტონის გზების, სანიაღვრე არხების, სკვერების, სავარჯიშო ტრენაჟორების, მინი სპოტრტული მოედნების, ფანჩანტურების მოწყობა; სასაფლაოს შემოღობვა; მემორიალური დაფის აღდგენა-განახლება; საწისქვილე არხის რეაბილიტაცია; ბავშვთა გასართობი ატრაქციონის მოწყობა და სხვა.

-არგვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლებში ფანჩატურების მოწყობა; სოფელ კორბოულში ბიბლიოთეკის იატაკის მოსაწყობა; სოფელ კალვათაში სარიტუალო დარბაზის კეთილმოწყობა;

- ჩიხის ადმინისტრაციულ ერთეულში ფანჩატურის მოწყობა.

-მუნიციპალიტეტის სოფლებში(ფაჩატურების, მოსაცდელების) და სხვა კეთილმოწყობის სამუშაოები;

**პროგრამის მიზანია:** სოფლის კატეგორიის დასახლებების კავშირის გაძლიერება ურბანულ დასახლებებთან და მათთვის საჭირო ხარისხიანი მომსახურეობის ადგილზე მიწოდება. სოფლის კატეგორიის დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

**პროგრამა კავშირშია მდგრადი განვითარების შემდეგ მიზანათან**: SDG 11.

**1.8 პროგრამა -საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა (პროგრამული კოდი 02 08)**

პროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოების მოწყობის მიზნით საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვას.

-სოფელ პერევში სასაზღვრო პუნქტის მიმდებარედ არსებულ წყაროზე კაპტაჟისა და სოფელ პერევის სასმელ-სამეურნეო წყლის რეზერვუარამდე მაგისტრალური მილსადენის მოსაწყობად საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კვერეთში არსებული წყალმიმღები ნაგებობიდან სათავემდე მაგისტრალური მილსადენის წყალშემკრები რეზერვუარის მოსაწყობად საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

**პროგრამის მიზანია:** მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განახლება-განვითარების კუთხით ხარისხიანი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა.

**1.9 პროგრამა -სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა (პროგრამული კოდი 02 09)**

ამ პროგრამით ხორციელდება ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოების

დოკუმენტაციის ინსპექტირების ანგარიშის და სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურება.

**პროგრამის მიზანია**: ხარისხიანად შესრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

**პროგრამა კავშირშია მდგრადი განვითარების შემდეგ მიზანათან**: SDG 9.

## მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1644,3 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2024 წლის გეგმა |
|---|---|---|
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 1,644.3 |
| 03 01 | დასუფთავება და ნარჩენების გატანა | 1,352.8 |
| 03 02 | მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება | 271.5 |
| 03 03 | უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები | 20.0 |

## 2. პრიორიტეტი -დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 0300)

პრიორიტეტის ფარგლებში ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება-გაუმჯობესების და ეპიდემიური დაავადებებისგან თავის დაცვის მიზნით, განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და ნაგავსაყრელ პოლიგონამდე ტრანსპორტირება, დამატებითი ურნების დადგმა, არსებული მწვანე საფარის მოვლა, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, სკვერებში ბალახის გათიბვა. უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები.

## 2.1 პროგრამა -დასუფთავება და ნარჩენების გატანა (პროგრამული კოდი 0301)

საჩხერის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. ა(ა)იპ ,,ზურმუხტი" ახორციელებს საჩხერის მუნიციპალიტეტის ქუჩებისა და სკვერების დასუფთავებას, ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება-გატანას, რომელსაც ყოველდღიურად ემსახურება 5 ერთეული ნაგავმზიდი სპევ/ავტომანქანა. სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში: სარეკის, ბაჯითის, ქვემოხევის, მოხვის ცხომარეთის, უზუნთის, გაღმა მთის, ქორეთის, პასიეთის, სხვიტორის, კვერეთის, გორისის, გამოღმა არგვეთის, ივანწმინდის, მერჯევის, არგვეთის, სავანის, იცქისის, მახათაურის, შალაურის, ბახიოთის, იტავაზის, დურევის, ცხამის, ზედა და ქვედა ოროღულის, ჩიხის, დუნთის, ჭორვილის, საირხის, კალვათის, მოძვის ჯალაურთის, ჭალის, პერევის, ღონის, სპეთის, ჭურნალის, იფხორის, კორბოულის, შომახეთის, ნიგვზარის, ხვანის, ჭალოვანის, ლიჩის, ღოდორის საუბნო გზების პირზე დაგროვილი და ბუნკერში შეგროვილი საყოფაცხოვრებო ნარჩენის გატანა არანაკლებ კვირაში ორჯერ. ქ. საჩხერის ცენტრალურ ქუჩებზე: ივ. გომართლის ქუჩა-აგრარული ბაზრის მიმდებარე ტერიტორია, ცენტრალური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია, მ. კოსტავას ქუჩა-რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია, საავტომობილო და საცალფეხო ხიდების მიმდებარე ტერიტორია, თავისუფლების ქუჩიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა ყოველდღიურად დღეში სამჯერ. გომი-საჩხერე-ჭიათურის გზის საჩხერის მონაკვეთზე

შეგროვილი და ნაგვის ბუნკერებში დაგროვილი ნაგვის გატანა კვირაში ორჯერ. სანიაღვრე არხებიდან ამოღებული ნარჩენების გატანა საჭიროებისამებრ. მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად ნაგავსაყრელზე გადის 300-350 მ$^3$ საყოფაცხოვრებო ნარჩენი. ნაგავშემკრებ ურნებს კვირაში ერთჯერ უტარდებათ სანიტარული დასუფთავება.

**პროგრამის მიზანია**: სუფთა გარემო მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე.

**პროგრამა კავშირშია მდგრადი განვითარების შემდეგ მიზანათან**: SDG 11.

**2.2 პროგრამა -მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება (პროგრამული კოდი 0302)**

საჩხერის მუნიციპალიტეტის მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარების განხორციელება მნიშველოვან პროგრამას წარმოადგენს. ხორციელდება სკვერების, გაზონების, ბაღების (დასვენების პარკების) მოვლა-პატრონობა, სატრანსპორტო მაგისტრლური გზის პირების მწვანე საფარის გაკრეჭვა-გადაბელვა, მწვანე ნარგავების განაშენიანება და მოვლა-პატრონობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხეების გადაბელვა, გამხმარ და ნახევრად გამხმარ ხეებზე ტარდება შესაბამისი ღონისძიებები, ინტენსიურად ტარდება მწვანე საფარისა და ნარგავების მორწვა (მწვანე საფარის შენარჩუნება) საჭირო შხამ-ქიმიკატებით დამუშავება აპარატით. ხორციელდება: ქალაქის ქუჩების კეთილმოწყობის სამუშაოები, სკვერებისა და ხიდების მოაჯირების შეღებვა, ქალაქის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობა. სისტემატიურად ხორციელდება სანიაღვრე არხების გაწმენდა.

**პროგრამის მიზანია**: გამწვანებული მუნიციპალიტეტი, მოსახლეობისთვის შექმნილი დასასვენებელი გარემო.

**პროგრამა კავშირშია მდგრადი განვითარების შემდეგ მიზანათან**: SDG 11.

**2.3 პროგრამა -უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 0303)**

შესაბამის ლიცენზირებულ ორგანიზაციასთან ხელშეკრულებით ხორციელდება უსახლკარო ცხოველთა იზოლირება ჰუმანური/უმტკივნეულო მეთოდით ლასოთი/ბადით, დეჰელმენტიზაცია (დამუშავება ჭიებზე, პარაზიტებზე), სტერილიზაცია/კასტრაცია, ანტირაბიული და კომპლექსური ვაქცინაცია, იდენტიფიკაცია (სპეციალური ცხოველისათვის განკუთვნილი ქარხნული დანომრილი საჭდით, ბირკით), თითოეული მონაცემის ასახვა სარეგისტრაციო შესაბამის ბლანკში და ყველა სხვა პროცედურის შესრულება, რაც საჭიროა ამ სფეროში არსებული ნორმებითა და დამკვიდრებული საუკეთესო პრაქტიკით. გაყვანილი ძაღლები ბრუნდებიან უკან ბუნებრივ არიალში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

**პროგრამის მიზანია**: უპატრონო ცხოველებისგან მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დაცვა.

**პროგრამა კავშირშია მდგრადი განვითარების შემდეგ მიზანათან**: SDG 11.

**მუხლი 15. განათლება**

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **5888,6** ათასი ლარი. განათლების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2024 წლის გეგმა |
|---|---|---|
| 04 00 | განათლება | 5,888.6 |
| 04 01 | სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირება | 3,893.2 |

| | | |
|---|---|---|
| 04 02 | ზოგადი განათლების ხელშეწყობა | 1,532.4 |
| 04 03 | განათლების დაწესებულების ხელშეწყობა | 335.5 |
| 04 04 | სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა რეაბილიტაცია | 127.5 |

3. პრიორიტეტი -განათლება (პროგრამული კოდი 0400)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ აღზრდას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების გამართული ფუნქციონირება და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია მშენებლობა. სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში ხდება მოსწავლე-ახალგაზრდობის სკოლისგარეშე განათლების დონის ამაღლების ხელშეწყობა. სასკოლო განათლების ხელშეწყობის მიზნით მთავრობის განკარგულების შესაბამისად დელიგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება.

3.1 პროგრამა -სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირება (პროგრამული კოდი 0401)

საჩხერის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 23 საბავშო ბაღი, მათგან 4 საბავშვო ბაღი ქალაქის ტერიტორიაზეა, ხოლო 19 სოფლის ადმინისტრაციულ ერთეულებში, რომელთა ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ა(ა)იპ "საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის' ადმინისტრაცია. სულ სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულია 352 თანამშრომელი, მათგან 303 ქალი და 49 ვაჟი. ბაღის განყოფილებებში მთლიანად რეგისტრირებულია 1139 აღსაზრდელი, რომელთაგან 546 არის გოგო, ხოლო 593 ვაჟი, რომელთა აღზრდას ემსახურება 67 აღმზრდელი ქალბატონი, მათგან 64 არის სერთიფიცირებული აღმზრდელ-პედაგოგი, ერთი ფლობს მარტოხელა მშობლის სტატუსს, ერთი კი არის შშმ პირი. აღმზრდელებთან ერთად მსახურობენ 67 აღმზრდელის თანაშემწე ქალბატონი, ხოლო სტანდარტის შესაბამისი მენიუს კერძების მომზადებას უზრუნველყოფს ჰასპის (HASP) სერთიფიკატის მქონე 23 მზარეული და 15 მზარეულის თანაშემწე.

**პროგრამის მიზანია:** სკოლამდელი ასაკის ბავშვების სკოლისთვის მზაობა, საბავშვო ბაღის აღსაზრდელების ბავშვებისთვის იმ უნარ-ჩვევების მიცემა, რომელიც განსაზღვრულია შესაბამისი სტანდარტებით. სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის ხარისხიანი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო სერვისების მიწოდება.

**პროგრამა კავშირშია მდგრადი განვითარების შემდეგ მიზანათან**: SDG 4.

3.2 პროგრამა - ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საჩხერის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ავტოსატრანსპორტო საშუალებით გადაყვანა.

**პროგრამების მიზანია:** მოსწავლეების დროული გადაადგილება.

**პროგრამა კავშირშია მდგრადი განვითარების შემდეგ მიზანათან**: SDG 4.

3.3 პროგრამა -განათლების დაწესებულების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 0403)

საჩხერის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში გაერთიანებულია სხვადასხვა მიმართულებები: საგნობრივი, მხატვრულ-შემოქმედებითი, სპორტული, ესტეთიკური ციკლის წრეები, ქორეოგრაფიული სტუდიები, ფოლკლორული ანსამბლი "საწერეთლო", ბავშვთა საესტრადო წრეები, საბავშვო თეატრი "თე-არტი", თოჯინების თეატრი "კოკროჭინა", ფოლკლორის მუნიციპალური კლუბი

"თავთუხები", ბიოლოგიის მუნიციპალური კავშირი და ჭადრაკის მუნიციპალური კლუბი, ასევე ფუნქციონირებს საბალეტო სტუდია. საგნობრივ წრეებში, კლუბებსა და სტუდიებში გაერთიანებულია დაახლოებით 380-მდე მოსწავლე, აქედან გოგონების რაოდენობა შეადგენს 260-ს, ხოლო ბიჭების რაოდენობა 120-ს.

**პროგრამის მიზანია:** მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი უნარების განვითარება, თეატრალური სფეროსადმი ახალგაზრდა თაობის დაინტერესების ზრდა, სპორტში მოსწავლეთა ჩართულობა.

**პროგრამა კავშირშია მდგრადი განვითარების შემდეგ მიზანათან**: SDG 4.

**3.4 პროგრამა - სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 04)**

ქვეპროგრამის ფარგლებში ხოორციელდება მუნიციპალიტეტის მაშტაბით არსებულ 23 ერთეულ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, საჭიროების მიხედვით მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, ასევე ეზოების კეთილმოწყობა, გასართობი ინფრატსრუქტურის მონტაჟი და შენობების შესაბამისი საჭირო საგნებით აღჭურვა.

**პროგრამის მიზანია:** კომფორტული და უსაფრთხო გარემო.

**პროგრამა კავშირშია მდგრადი განვითარების შემდეგ მიზანათან**: SDG 4.

**მუხლი 16. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები**

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების პრიორიტეტის დაფინანსება განისაზღვროს 7581,1 ათასი ლარი. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების, ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2024 წლის გეგმა |
|---|---|---|
| 05 00 | კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები | 7,581.1 |
| 05 01 | სპორტის განვითარების ხელშეწყობა | 5,283.1 |
| 05 01 01 | სპორტული ღონისძიებების დაფინანსება | 117.0 |
| 05 01 02 | სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა | 1,548.2 |
| 05 01 02 01 | საჩხერის სპორტული სკოლა | 766.4 |
| 05 01 02 02 | საჩხერის საცურაო აუზი | 361.4 |
| 05 01 02 03 | საჩხერის ძალოსნობის დარბაზი | 254.4 |
| 05 01 02 04 | ბავშვთა ფეხბურთის განვითარება | 166.0 |
| 05 01 03 | სპორტული ობიექტების მშენებლობა რებილიტაცია | 3,617.9 |
| 05 02 | კულტურის განვითარების ხელშეწყობა | 2,169.0 |
| 05 02 01 | კულტურული ღონისძიებების დაფინანსება | 242.0 |

| | | |
|---|---|---|
| 05 02 02 | კულტურული ობიექტების მშენბლობა რეაბილიტაცია | 529.4 |
| 05 02 03 | კულტურული დაწესებულებების ხელშეწყობა | 1,397.6 |
| 05 02 03 01 | ბიბლიოთეკების ხელშეწყობა | 255.9 |
| 05 02 03 02 | საჩხერის კულტურის ცენტრი | 437.8 |
| 05 02 03 03 | სარეკის კულტურულ– საგანმანათლებლო ცენტრი | 41.2 |
| 05 02 03 04 | მხარეთმცოდნეობის მუზეუმი | 135.8 |
| 05 02 03 05 | აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმი | 43.7 |
| 05 02 03 06 | აკადემიკოს კონსტანტინე და მხატვარ სოსო წერეთლების სახელობის მუზეუმი | 47.8 |
| 05 02 03 07 | სამუსიკო სკოლა | 288.1 |
| 05 02 03 08 | სამხატვრო სკოლა | 72.9 |
| 05 02 03 09 | არგვეთის კულტურის სახლი | 74.4 |
| 05 03 | ტურიზმისა და ახალგაზრდულ ღონისძიებათა პროგრამა | 79.0 |
| 05 04 | რელიგიის ხელშეწყობა | 50.0 |

### 4. პრიორიტეტი -კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 0500)

მუნიციპალიტეტი საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში აგრძელებს კულტურული, ახალგაზრდული, სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობას. პრიორიტეტი გულისხმობს კულტურულ-საგანმანათლებლო, სასპორტო სფეროს პოპულარიზაცია-განვითარებას. კულტურის სფეროში წარმატებული შემოქმედებითი ჯგუფების და ახალგაზრდების ხელშეწყობას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და შენარჩუნებას. კულტურულ- სახელოვნებო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში მომავალი თაობის შემეცნებით- საგანმანათლებლო დონის ამაღლებას, კულტურული ცხოვრების, მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების შენარჩუნებას და პოპულარიზაციას, სპორტის განვითარების ხელშეწყობას და პოპულარიზაციას, სპორტული ღონისძიებების დაფინანსებას და მათ მრავალფეროვნებას.

### 4.1 პროგრამა -სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 0501)

სპორტსმენებისათვის ხელშეწყობისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება, სპორტული ინვენტარის შეძენა და თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება, პერსპექტიული სპორტსმენების მომზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის მომზადება, სხვადასხვა შეჯიბრებებისა და სახელობითი ტურნირების ჩატარება. ასევე, წარმატებული სპორტსმენების წახალისება.

**პროგრამის მიზანია:** ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, მეტი მოზარდის ჩართვას (განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მეტი გოგონას ჩართვას) სპორტის სხვადასხვა სახეობებში. ახალგაზრდა თაობებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და ხელშეწყობა.

**პროგრამა კავშირშია მდგრადი განვითარების შემდეგ მიზანთან**: SDG 3, SDG 11.

**4.1.1 ქვეპროგრამა -სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 050101)**

სპორტული ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში წლის განმავლობაში დაგეგმილი ღონისძიებები ემსახურება მასობრივ სპორტში ახალგაზრდების ჩართულობას, სპორტის სხვადასხვა სახეობის პოპულარიზაციას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, ასევე ქუჩის მავნე გავლენის შემცირებას და სპორტული მოედნებისაკენ ახალგაზრდების დაბრუნებას.

**ქვეპროგრამის მიზანია**: ახალგზრდების სპორტიულ ცხოვრებაში ჩართვა. სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება. საჩხერლებისათვის საყვარელი ადამიანების სახელების უკვდავყოფა, ახალგაზრდების სპორტულად გააქტიურება მათ შორის: ჩემპიონისა და პრიზიორების წახალისება.

**4.1.2 ქვეპროგრამა -სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 050102)**

ქვეპროგრამით ხორციელდება მუნიციპალიტეტში სპორტის განვითარება. წარმატებული და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება და ხელშეწყობა. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია როგორც ბიჭების, ასევე გოგონების ჩართულობა სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

**ქვეპროგრამის მიზანია:** მუნიციპალიტეტში სპორტის განვითარება; სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; ახალგაზრდობის სულიერი და ფიზიკური ჰარმონიული განვითარება; სპორტული ტრადიციების დაცვა-გაღრმავება, სპორტის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

**4.1.2.1 ღონისძიება -საჩხერის სპორტული სკოლა (პროგრამული კოდი 05010201)**

საჩხერის სასპორტო სკოლა აერთიანებს 13 სპორტულ სახეობას: ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ძიუდო, სამბო, ქართული ჭიდაობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, თავისუფალი ჭიდაობა, კარატე, ტაეკვონდო, ჭადრაკი, რაგბი, კრივი. სულ სასპორტო სკოლაში სპორტის სახეობებს ეუფლება ყველა სახეობაში 780 მოზარდი, აქედან 145 გოგონა, რომელთა საწვრთნელი ვარჯიშები უტარდებათ ყოველ დღე კვირის გარდა. სკოლის სპორტსმენები მონაწილეობას ღებულობენ რეგულარულად საქართველოს ჩემპიონატებზე და საერთაშორისო ტურნირებზე, სადაც არაერთი საპრიზო ადგილები აქვთ დაკავებული. აგრეთვე სპორტსმენები რეგულარულად გადიან საწვრთნელ შეკრებებს. სასპორტო სკოლა ფუნქციონირებს მთელი წლის განმავლობაში შეუფერხებლად, ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია სკოლის მომსახურებით, საჩხერის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ყველა სპორტული წრით სარგებლობა უფასოა. საპრიზო ადგილზე გასული სპორტსმენები ჯილდოვდებიან სპორტული პრიზებით.

**ღონისძიების მიზანია:** ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მეტი მოზარდის ჩართვას (განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს მეტი გოგონას ჩართვას) სპორტის სხვადასხვა სახეობებში; მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნისა და მსოფლიოს მასშტაბით.

**4.1.2.2 ღონისძიება - -საჩხერის საცურაო აუზი (პროგრამული კოდი 05010202)**

როგორც ჩვენს მიერ ნაწარმოებმა სტატისტიკამ აჩვენა სპორტსმენი გოგონებისა და ზოგადად მდედრობითი სქესის მომხმარებლების რაოდენობა ნაკლებია სპორტსმენი ვაჟებისა და ზოგადად მამრობითი სქესის მომხმარებლებზე.

გარდა სპორტული დატვირთვისა აუზი ასევე წარმოადგენს გამაჯანსაღებელ ცენტრს და ემსახურება წელიწადში საშუალოდ 12 000 მომხმარებელს (სტატისტიკა გაკეთებულია 2023 წლის მდგომარეობით). გენდერულ ჭრილში სტატისტიკით მომხმარებელთა უმრავლესობა არის კაცი/ვაჟი 52 % ხოლო 48 % ქალი/გოგონა. თუ რატომ არის ქალი/გოგონა მომხმარებელი ნაკლები ვიდრე კაცი/ვაჟი ამაზე კვლევა არ ჩატარებულა.

სპორტსმენები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას იღებენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში. მეტწილად არიან საპრიზო ადგილების მფლობელები.

**ღონისძიების მიზანია:** ახალგაზრდა თაობებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და ხელშეწყობა; საწყალოსნო სპორტის სახეობათა განვითარების ხელშეწყობა; სპორტული სახეობის - ხუთჭიდის განვითარება და ხელშეწყობა; მუნიციპალიტეტის სახელით სხვადასხვე ღონისძიებებში მონაწილეობა.

**4.1.2.3 ღონისძიება -საჩხერის ძალოსნობის დარბაზი (პროგრამული კოდი 05010203)**

ა(ა)იპ ოლიმპიურ ჩემპიონ ლაშა ტალახაძის სახელობის საჩხერის ძალოსნობის დარბაზი სპეციალიზებულია სპორტის სახეობა ძალოსნობის მიმართულებით, რომელიც აერთიანებს 5 ასაკობრივ ჯგუფს. მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენს 130 მოზარდს, აქედან 5 გოგონა. (გოგონების მხოლოდ 3,8%-ია. მართალია ძალოსნობა მამაკაცური სპორტის სახეობად ითვლება, მაინც მოსაკვლევია გოგონების ასეთი დაბალი წილი. დარბაზის აღსაზრდელები რეგულარულად მონაწილეობენ ჩემპიონატებში და ტურნირებში როგორც რეგიონალური, ასევე საერთაშორისო მაშტაბით. გვყავს საქართველოს ჩემპიონი 1 გოგონა და 30 ვაჟი. საქართველოს პრიზიორი 25 ვაჟი, ევროპის ჩემპიონი 7 ვაჟი, 6-გზის ევროპის ჩემპიონი 1 ვაჟი, მსოფლიო ჩემპიონი 2 ვაჟი, სხვადასხვა რეგიონალურ ტურნირებში გამარჯვებული 50 ვაჟი, რომლებიც დაჯილდოვებულნი არიან მედლებით, თასებით, დიპლომებით და სხვადასხვა სპორტული პრიზებით (სუვენირებით).

**ღონისძიების მიზანია:** ძალოსნობის მასობრიობის ზრდა, მეცადინეობებში რაც შეიძლება მეტი მოზარდის მათ შორის გოგონების ჩაბმა, მომავალი თაობის ქუჩის მავნე გავლენისაგან დაცვა, მათში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, მომსახურების ახალი ფორმების დანერგვა და მისი ხელმისაწვდომობის მიღწევა ქალაქისა და სოფლების მოსახლეობისათვის, მაღალმთიანი სოფლებისათვის ადგილზე.

**4.1.2.4 ღონისძიება -ბავშვთა ფეხბურთის განვითარება (პროგრამული კოდი 05010204)**

ა(ა)იპ "საფეხბურთო კლუბ საჩხერის ჩიხურა-"ს ბავშვთა სკოლაში ირიცხება 350 ბავშვი, რომელთა ასაკი ექვსი წლიდან ჩვიდმეტი წლის ჩათვლითაა. ბავშვთა სკოლა მოიცავს 6 საშეჯიბრო და 8 არასაშეჯიბრო ჯგუფს. აღნიშნულ ჯგუფებს სწავლებას უწევს გამოცდილი 9 ლიცენზირებული მწვრთნელი.

**ქვეპროგრამის მიზანია:** პროგრამა მიზნად ისახავს სპორტის ყველაზე მასიური სახეობის ფეხბურთის განვითარებას ჩვენს მუნიციპალიტეტში. ახალგაზრდა პერსპექტიული ფეხბურთელების აღმოჩენას და მათ შემდგომ განვითარებას, საქართველოს ასაკობრივ საფეხბურთო ჩემპიონატებში საჩხერელი ფეხბურთელების მონაწილეობას, ფეხბურთით დაინტერესებული მოზარდების, საწვრთნელ პროცესში, შესაბამისი ლიცენზიის მქონე მწვრთნელების მონაწილეობას და პროფესიონალ ფეხბურთელად ჩამოყალიბებას, არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და მის დაახლოებას თანამედროვე სტანდარტებთან.

**4.1.3 ქვეპროგრამა -სპორტული ობიექტების მშენებლობა რებილიტაცია (პროგრამული კოდი 050103)**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სპორტული მოედნების რეაბილიტაცია. იმ ტეროტრიაზე რომელიც წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებას. ქვეპროგრამის ფარგლებში იგეგმება: ქ. საჩხერეში, სტადიონების მოწყობა-რეაბილიტაცია; ქ. საჩხერეში ცენტრალური სტადიონისა და მიმდებარე ტერიტორიის სარეაბილიტაციო სამუშაოები; სოფელ გორისაში ზედა შეყლაშვილების უბანში მინი სტადიონის მოწყობა; ჭალაში საფეხბურთო მოედნის მოწყობა; დარყაში მინი საფეხბურთო მოედნის მოწყობა; პასიეთში მინი საფეხბურთო მოედნის მოწყობა; სოფელ ჭორვილაში არსებული სტადიონისა და ბავშვთა გასართობი მოედნის რეაბილიტაცია; ქალაქ საჩხერეში აღმაშენებლის ქუჩაზე საფეხბურთო სტადიონის მოწყობა; ქ. საჩხერეში სპორტული ინფრასტრუქტურის, ტრენაჟორების რეაბილიტაცია; ქ. საჩხერეში, სპორტის სასახლის მშენებლობა.

-ქალაქ საჩხერეში სტადიონების მოწყობა რეაბილიტაცია; ქ. საჩხერეში ს. დურმიშიძის ქუჩაზე არსებული სპორტული მოედანის რეაბილიტაცია; სოფელ ივანწმინდაში, მინი სტადიონზე გარე განათების მოწყობა.

**რგპფ-ების** თანადაფინანსება;

- სოფელ ქორეთში მინი სტადიონის კეთილმოწყობის გაგრძელება; სოფელ გამოღმა არგვეთში სტადიონის შემოღობვა.

**ქვეპროგრამის მიზანია:** განახლებული სპორტული მოედნები, სპორტზე გაზრდილი ხელმისაწვდომობა.

**4.2 პროგრამა -კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 0502)**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება კულტურული დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება და მოეწყობა სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის: სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

**პროგრამის მიზანია:** ქართული კულტურის პოპულარიზაცია, ბიბლიოთეკების, მუზეუმების და თეატრისადმი მოსახლეობის დაინტერესებისა და ჩართულობის გაზრდა, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების ხელშეწყობა, კულტურის დაწესებულებების გამართულად ფუნქციონირება.

**4.2.1 ქვეპროგრამა -კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 050201)**

კულტურული ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში წლის განმავლობაში დაგეგმილია სხვადასხვა სახის კულტურულ-საგანმანათლებლო, თეატრალურ-მუსიკალური, ფესტივალ-კონკურსები, გამოფენები, თეატრალური წარმოდგენები. მუსიკლურ-ლიტერატურული კომპოზიციები ემსახურება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ფართო მასების კულტურულ ცხოვრებაში აქტიურ ჩართვას, ხელოვნების სხვადასხვა სფეროს პოპულარიზაციას, ცნობილი ადამიანების პატივგებას, ასაკობრივ თაობათა შორის კავშირის განმტკიცებას, გართობისა და დასვენების თვალსაზრისით თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენებას, მუნიციპალიტეტის პრესტიჟისა და ღირსების განმტკიცებას.

**ქვეპროგრამის მიზანია:** ქართველი ერის იდენტობის დაცვა, ქართული პოეზიის, მეცნიერების, მწერლობის, ფოლკლორის, მართლმადიდებლური ქრისტიანობის, მუსიკალური და თეატრალური ტრადიციების პოპულარიზაცია. მუნიციპალიტეტის პრესტიჟისა და ღირსების ამაღლება. ყველა აქტივობა ხორციელდება გენდერეული თანასწორობის პრინციპით, ადაპტირებული შშმ და სსმ პირებისათვის.

**4.2.2 ქვეპროგრამა -კულტურის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 050202)**

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მშენებლობა და ინფრასტრუტურის მოწესრიგება. სრულდება ჯრუჭის მონასტრის მშენებლობა, რომლის თანადაფინანსებაც ხდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

**რგპფ-ის** დაფინანსების ფარგლებში განხორციელდება ,,ჯრუჭის" მონასტრის გუმბათისა და სამრეკლოს რეაბილიტაცია; სოფელ არგვეთის კულტურის სახლის მშენებლობა და სხვა.

**ქვეპროგრამის მიზანია:** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენა-რეაბილიტაცია.

**4.2.3 ქვეპროგრამა -კულტურული დაწესებულებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 050203)**

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის მიერ ა(ა)იპ-ის ფორმით დაფუძნებული სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, კულტურის სახლების და მუზეუმების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების დაფინანსება. შრომის ანაზღაურებასთან ერთად პროგრამა ითვალისწინებს სხვა მიმდინარე ხარჯების დაფინანსებასაც. განხორციელდება კულტურული ობიექტების პროექტირება.

**ქვეპროგრამის მიზანია:** კულტურის სფეროში მომუშავე ა(ა)იპების ხელშეწყობა.

**4.2.3.1 ღონისძიება -ბიბლიოთეკების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05020301)**

ბიბლიოთეკის მნიშვნელოვანი და სოციალური ფუნქციაა სრულად და ეფექტურად გამოიყენოს თავისი ფონდები და სახვა საბიბლიოთეკო რესურსები მომხმარებელთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ამ მიზნით ბიბლიოთეკაში შეიქმნა და შენარჩუნდა თანმიმდევრული და დალაგებული კოლექცია მომხმარებელთათვის ცოდნის ხელმისაწვდომობის მიზნით. ქვეპროგრამა ითვალისწინებს პოლიტიკურ, რელიგიურ, ასაკობრივ და ეროვნულ ნეიტრალიტეტს, ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, ოპერატიულობას და შეუზღუდაობას. ბიბლიოთეკაში შექმნილია ინოვაციური გარემო მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის ელექტრონულ ტექნოლოგიებზე დაყრდნობით. გათვალისწინებულია ბიბლიოთეკართა კვალიფიკაციის ამაღლება მკითხველთათვის კვალიფიციურ მრჩევლებლად ჩამოყალიბების მიზნით. აქტიურად ტარდება მასობრივი ღონისძიებები მიმდინარე აქტუალურ საკითხებზე. სისტემატიურად ეწყობა ახალგამოცემული ლიტერატურის ინფორმირება და პრეზენტაცია მომხმარებელთათვის. ადგილობრივი ისტორიისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობით ხდება მომხმარებელთა ეროვნული თვითმყოფადობის გაძლიერება. ბიბლიოთეკის ბაზაზე არსებობს ადგილობრივი გაზეთი ,,მოდინახე'', რომელიც თვეში ერთხელ გამოდის. სწორედ ამ მიზნების განხორციელებას ემსახურება რაიონში არსებული 1 მთავარი, 1 საბავშვო და 15 სასოფლო ბიბლიოთეკა-განყოფილება, 145490 ერთეული წიგნადი ფონდითა და ციფრული ტექნოლოგიებით.

**ღონისძიების მიზანია:** ბიბლიოთეკა გახდეს ერთ-ერთი ინიციატორი, მამოძრავებელი ძალა და სანდო პარტნიორი სხვადასხავა პროგრამებისა და მიზნების განხორციელებისათვის.

**4.2.3.2 ღონისძიება -საჩხერის კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05020302)**

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ „საჩხერის ობოლა ციმაკურიძის სახელობის კულტურის ცენტრი“, სადაც გაერთიანებულია სხვადასხვა მიმართულებები: ქორეოგრაფიული, ფოლკლორული, სამეჯლისო სპორტული ცეკვების სტუდიები და ანსამბლები, სალოტბარო სკოლა, პაოლო იაშვილის სახელობის სახალხო თეატრი, თოჯინების თეატრი, ბავშვთა ვოკალურ-ინსტრუმენტული ბენდი მ. ხატელიშვილის სახელობის სამუსიკო სტუდია, სადაც შეისწავლება ფორტეპიანო, ვიოლინო, გიტარა, სოლო სიმღერები და აქვეა ვაჟთა ანსამბლი ,,განთიადი“. სტუდიებში და ანსამბლებში გაერთიანებულია 300 -მდე ბავშვი, მათ შორის 175 გოგონა, 125 ვაჟი. აქვეა თვითშემოქმედებითი ნიმუშების მოძიება და პოპულარიზაცია, ხალხური პოეზია, ხალხური სიმღერა და ხალხური ნიმუშების ჩართვა ფოლკლორულ ფესტივალებსა და სახალხო ზეიმებში, რაც მნიშვნელოვანია შემოქმედებითი ნიმუშების შენარჩუნებისა და ოჯახური ტრადიციების გაგრძელების თვალსაზრისით.

**ღონისძიების მიზანია**: ეროვნული კულტურული ღირებულებების შენარჩუნება და პოპულარიზაცია: მომავალ თაობებში ეროვნული კულტურისა და ხელოვნებისადმი ინტერესის გაღვივება, კულტურულ პროცესებში ადგილობრივი საზოგადოების აქტიურად ჩართვა და მისთვის ხარისხიანი პროდუქციის მიწოდება, ცენტრის მიერ შექმნილი კულტურული ღირებულებების გატანა რესპუბლიკურ და საერთაშორისო ასპარეზზე. სახელმწიფოებრივად მოაზროვნე მომავალი თაობის მაღალ სულიერ და ზნეობრივ პრინციპებზე აღზრდის ხელშეწყობა.

**4.2.3.3 ღონისძიება -სარეკის კულტურულ– საგანმანათლებლო ცენტრი (პროგრამული კოდი 05020303)**

ღონისძიების ფარგლებში ხორციელდება მოსწავლე-ახალგაზრდობის სპორტულ და საგანმანათლებლო საქმიანობაში ხელშეწყობა და აქტიური მონაწილეობა ფესტივლებსა და კონკურსებში. კულტურის ცენტრში იგეგმება სხვადასხვა წრეების დამატება, ასევე კულტურული და სპორტული ღონისძიებები, რაც გამოიწვევს მოსწავლე-ახალგაზრდობის რაოდენობის გაზრდას. სარეკის კულტურის სახლში გაერთიანებულია სხვადასხვა წრეები და სტუდიები: ქორეოგრაფიული სტუდია, მუსიკალური სტუდია, ინგლისურის წრე, მხატვრული წრე. წრეებით დაკავებულია როგორ გოგო, ასევე ვაჟი. სარეკის კულტურის სახლი აქტიურად თანამშრომლობს სარეკის საჯარო სკოლასა და სასოფლო ბიბლიოთეკასთან, ეწყობა ერთობლივი ღონისძიებები. **ღონისძიების მიზანია**: შემოქმედებითი ჯგუფის ხელშეწყობა. მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდა.

**4.2.3.4 ღონისძიება -მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (პროგრამული კოდი 05020304)**

,,მუზეუმების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად პროექტების განხორციელება. სამეცნიერო-საგანმანათლებლო კონფერენციების, პუბლიკაციების გავრცელება, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების კვლევა, დაცვა და პროპაგანდა. სამუზეუმო ფონდის გამდიდრება, კრიზისული სიტუაციების მართვა. ტურისტების მოზიდვა, სიახლეების დამკვიდრება. გენდერული პოლიტიკის სიწმინდის დაცვისათვის კულტუროლოგიური მახასიათებლების კვლევა და განხორციელება.

**ღონისძიების მიზანია**: სამუზეუმო პოლიტიკის გატარება.

**4.2.3.5 ღონისძიება -აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმი (პროგრამული კოდი 05020305)**

მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა მუზეუმის მატერიალურ - ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის. ტურისტებისა და მნახველთა სათანადო დონეზე მომსახურებისათვის. 2024 წლის განმავლობაში კიდევ მეტი ყურადღება დაეთმობა დამთვალიერებელთა და ტურისტთა ნაკადის სათანადო დონეზე მომსახურებას, დედისეული ბაღის კარმიდამოს შემოღობვა და კეთილმოწყობას. მნახველები დეტალურად გაეცნობიან როსტომისეულ სასახლეს, საგამოფენო დარბაზსა და სავანის ძიძისეულ კარმიდამოს, იქ არსებული აკაკის დროინდელი ავეჯისა და საოჯახო ნივთების გამოფენას. კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი იქნება აკაკის მედლისა და პრემია ,,სხვიტორი" -ს მოპოვებისათვის წარმოდგენილი ავტორები.

**ღონისძიების მიზანია**: თავისი მაღალპროფესიული საქმიანობით მუზეუმი აღწევს მთავარ მიზანს, რაც ითვალისწინებს მგოსნის ცხოვრების და შემოქმედების პოპულარიზაციას.

**4.2.3.6 ღონისძიება -აკადემიკოს კონსტანტინე და მხატვარ სოსო წერეთლების სახელობის მუზეუმი (პროგრამული კოდი 05020306)**

დღეის მდგომარეობით მუზეუმში განთავსებულია 395 ექსპონანტი. წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 235.

**ღონისძიების მიზანია**: ვიზიტორების დაინტერესება და მთელი წლის მუშაობაში აქტიურად ჩართულობა. ნიმუშების გამოფენით, ფართო საზოგადოების კიდევ უფრო მეტად დაინტერესება.

**4.2.3.7 ღონისძიება -სამუსიკო სკოლა (პროგრამული კოდი 05020307)**

სამუსიკო სკოლაში მუსიკალურ განათლებას ღებულობს 270 მოსწავლე, (ვაჟი 60, გოგონა 210), მათ შორის საფორტეპიანო განყოფილებაზე სწავლობს 185 მოსწავლე, სავიოლინო განყოფილებაზე 8 მოსწავლე, ხალხურ საკრავებზე 25 მოსწავლე, საესტრადო განყოფილებაზე 22 მოსწავლე, ფოლკლორულ ანსამბლში ირიცხება 30 მოსწავლე.

**ღონისძიების მიზანია**: კლასიკური და ხალხური მუსიკის პოპულარიზაცია, პროპაგანდა, მოზარდი თაობის ინტელექტუალურ მსმენელად ჩამოყალიბება, მოსწავლეთა საშემსრულებლო ხელოვნების დახვეწა, განსაკუთრებული მუსაკალური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენა, სიმღერის, ფოლკლორის და სხვადასხვა ინსტრუმენტების შესწავლა.

**4.2.3.8 ღონისძიება -სამხატვრო სკოლა (პროგრამული კოდი 05020308)**

საჩხერის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს დაწყებითი სამხატვრო განათლების ერთი სკოლა, სადაც საბაზისო სამხატვრო განათლებას იღებს 154 ბავშვი (59 გოგონა და 55 ვაჟი), რომლის დაფინანსება ხდება ქვეპროგრამის ფარგლებში. ქვეპროგრამა ითვალისწინებს მოსწავლეთა სისტემატურ დასწრებას გაკვეთილებზე, კლასების მიხედვით, სასწავლო პროგრამის მეშვეობით დავალებების მიცემას და შესრულებას, მხატვრისთვის საჭირო ინდივიდუალური ჩვევების გამომუშავებას, დამოუკიდებლად კომპოზიციების შედგენას, გამოფენების მოწყობას.

**ღონისძიების მიზანია:** შეუქმნას მოსწავლეებს შესაბამისი პირობები ინდივიდუალური შემოქმედების განვითარებისთვის, იზრუნოს მათი ესთეთიკური გემოვნების ჩამოყალიბებაზე, ასწავლოს სხვადასხვა

სამხატვრო მასალების (ზეთი, აკრილი, გუაში, აკვარელი, ფანქარი, პასტელი, ტუში) გამოყენებით, მრავალფეროვანი ნახატების შექმნა, ეზიარონ კომპოზიციის საფუძვლებს. მოსწავლეებმა უნდა შეძლონ ცნობილი მხატვრების ნამუშევრებში ნახატის კონცეფციის ამოცნობა, ნახატის აზრობრივი წაკითხვა და გამოყენებული მასალის შესახებ ინფორმაციის მიღება, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ისტორიის შესწავლა, მხატვრობაში გამოყენებული მიმდინარეობების (იმპრესიონიზმი, რეალიზმი, სურიალიზმი, კუბიზმი, აპსტრაქციონიზმი და ა.შ) თავისებურებების აღქმა, ხატვის სხვადასხვა დარგის (გრაფიკა, ფერწერა, სამოდელო დიზაინი) საფუძვლების დაუფლება, ნატურმორტების, პეიზაჟების, პორტრეტების, ადამიანის ფიგურის, სამოდელო დიზაინის, ინტერიერის, ექსტერიერის, გარემოს დიზაინის საფუძვლების შესწავლა, რათა წარმატებით ჩააბარონ შესაბამის უმაღლეს სასწავლებლებში.

**4.2.3.9 ღონისძიება -არგვეთის კულტურის სახლი (პროგრამული კოდი 05020309)**

კულტურის სახლში გაერთიანებულია სხვადასხვა სახის წრეები და სტუდიები: კულტურის სახლში გაერთიანებულია სხვადასხვა მიმართულებები: ქორეოგრაფიული სტუდია, ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,მუხრანელები'', ქართულ ხალხურ საკრავთა ანსამბლი ,,ცაცინათელა'', ქართული სიმღერების შემსწავლელი წრე, მუსიკალური სტუდია (ფორტეპიანო), გიტარის შემსწავლელი წრე, ქართულ ხალხურ ინსტრუმენტებზე დაკვრის (ფანდური, ჩონგური, დიპლიპიტო, ბასფანდური, ჭადრაკის) შემსწავლელი წრე. წრეებში მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენს 180-ს, მათ შორის: ქალი 100 კაცი 80-ი.

**ღონისძიების მიზანია**: შემოქმედებითი პროცესებისა და ფოლკლორული ჯგუფების ხელშეწყობა. მივიწყებული ქართული ხალხური სიმღერების აღდგენა და შენარჩუნება, ლიტერატურული წარმოდგენების გამართვა, ახალგაზრდებში ეროვნული ფასეულობებისა და კულტურული მემკვიდრეობისადმი ინტერესის გაღვივება.

**4.3 პროგრამა -ტურიზმისა და ახალგაზრდულ ღონისძიებათა პროგრამა (პროგრამული კოდი 0503)**

ტურიზმისა და ახალგაზრდულ ღონისძიებათა პროგრამის ფარგლებში საჩხერის მუნიციპალიტეტში ტურიზმის, ასევე, ახალგაზრდული სერვისების განვითარების პროცესში ახალგაზრდების მეტი ჩართულობის მიზნით განხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც მორგებულია საჩხერელი ახალგაზრდების ინტერესებზე, ღონისძიებები ემსახურება მუნიციპალიტეტში მცხოვრები 29 წლამდე თითოეული მოქალაქის განვითარება- გააქტიურებას. ტურიზმის მიმართულებით დაგეგმილია ადგილობრივი მეწარმეების ხელშეწყობა, ტურისტულად საინტერესო ადგილების მარკირება, საინფორმაციო ბუკლეტების დამზადება.

**პროგრამის მიზანია**: განვითარება ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე, ღვინის ტურიზმის, საოჯახო მეურნეობების ხელშეწყობა, ტურისტულ ატრაქციებზე სტანდარტების შესაბამისი აბრების დამზადება, სხვადასხვა სახის კონკურს-ფესტივალებში მონაწილეობის მიღება; საჩხერის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის ხელშეწყობა; ახალგაზრდული საქმიანობისა და არაფორმალური განათლების მეშვეობით ახალგაზრდების განვითარებისა და მათი პოტენციალის რეალიზების ხელშეწყობა; ახალგაზრდების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გაძლიერება. ყველა აქტივობა განხორციელდება გენდერეული თანასწორობის პრინციპით, შშმ და სსმ პირებისათვის.

**პროგრამა კავშირშია მდგრადი განვითარების შემდეგ მიზანათან**: SDG 11.

**4.4 პროგრამა -რელიგიის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 0504)**

რელიგიის ხელშეწყობა აერთიანებს, ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიაში არსებულ ეკლესია-მონასტრებს. სადაც, შაბათ-კვირას და სადღესასწაულო დღეებში იმართება წირვა-ლოცვა. ეპარქიაში არსებობს საეკლესიო სამსახურისთვის შექმნილი სკოლა, სადაც ისწავლება გალობა და მედავითნეობა. ამ ფონდის შემწეობით იმართება სხვადასხვა ქრისტიანული ღონისძიებები. პროგრამის მიზანია: საეკლესიო მსახურების ხელშეწყობა, ეპარქიის სახელით საეკლესიო ღონისძიებების ჩატარება

**პროგრამის მიზანია:** საეკლესიო მსახურების ხელშეწყობა, ეპარქიის სახელით საეკლესიო ღონისძიებების ჩატარება.

მუხლი 17. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსება განისაზღვროს 1758,4 ათასი ლარი. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2024 წლის გეგმა |
|---|---|---|
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 1,758.4 |
| 06 01 | ჯანდაცვის პროგრამები | 272.8 |
| 06 02 | სოციალური პროგრამები | 1,455.6 |
| 06 02 01 | ავადმყოფთა სოციალური დაცვა | 678.4 |
| 06 02 02 | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის უზრუნველყოფა | 80.0 |
| 06 02 02 01 | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 50.0 |
| 06 02 02 02 | საქართველოს ყრუთა კავშირის საჩხერის ფილიალის ხარჯების სუბსიდირება | 30.0 |
| 06 02 03 | ომისა და შრომის ვეტერანებზე და მათ ოჯახებზე ფულადი ფორმით გასაცემი დახმარებები | 5.0 |
| 06 02 04 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 475.5 |
| 06 02 05 | მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა | 40.0 |
| 06 02 06 | უფასო სასადილოს დაფინანსება | 54.4 |
| 06 02 07 | სარიტუალო ხარჯები | 2.7 |
| 06 02 08 | საჩხერე-პერევის და პერევი-საჩხერის საავტობუსო რეისების სუბსიდირება | 30.1 |
| 06 02 09 | სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარება | 55.0 |
| 06 02 10 | საცხოვრებლით უზრუნველყოფა | 20.0 |
| 06 02 11 | ბავშვთა მხარდაჭერის პროგრამა | 14.5 |
| 06 04 | ინტეგრირებული დღის ცენტრი | 30.0 |

## 5. პრიორიტეტი -მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 0600)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მოსახლეობის სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. არსებული რესურსების ფარგლებში გაგრძელდება სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფა. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი

ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

**5.1 პროგრამა -ჯანდაცვის პროგრამები (პროგრამული კოდი 0601)**

პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში ხორციელდება ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამა: იმუნიზაცია, გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა მართვა, პარაზიტოლოგიური დაავადებები, ანტირაბიული -ცოფის საწინააღმდეგო ღონისძიებები. C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა, COVID-19–ის ვირუსის გავრცელების ერთეული შემთხვევები და მისი მართვა). პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისათვის ღონისძიებების გატარება, დელეგირებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების შესრულება. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინტეგრირებული პროგრამა ითვალისწინებს გადამდებ დაავადებათა გავრცელების პრევენციას. (ესენია: „C" ჰეპატიტი, შიდსი, ტუბერკულოზი) აღნიშნული პროგრამა მრავალწლიანია, გამოკვლევები და მკურნალობა უფასოა ყველა მოქალაქისათვის. ყველა ვირუს დადასტურებულ პირის ბიოლოგიური მასალა (პლაზმა) გაიგზავნება კონფირმაციული (დამატებით) კვლევისათვის ლუგარის ლაბორატორიაში. დაინფიცირებულ პირს ჩაუტარდება შესაბამისი მკურნალობა. ჯანდაცვის პროგრამებში მუშაობა სისტემატიურად აისახება ლოჯისტიკის ელ. მოდულში. ჩატარდება პარაზიტულ დაავადებათა გადამტანი მწერების (კოღო, ტკიპები, მოსკიტები) საწინააღმდეგო ღონისძიებები, ჩატარდება საბონიფიკაციო სამუშაოები (ჭაობების და წყალსატევების გაწმენდა, თევზი გამბუზიის მოშენება და გავრცელება), სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებში დიდი ყურადღება დაეთმობა სანიტარულ - ჰიგიენური წესების დაცვას (ხელსაბანები , გამდინარე ცივი და თბილი წყალი).

**პროგრამის მიზანია**: აცრებით მოცული იყოს 0-14 წლის ბავშვთა აბსოლუტური უმრავლესობა 98%; ბავშვთა ორგანიზებულ დაწესებულებებში (სკოლები, ბაღები) ჰიგიენის ნორმების დაცვა, წყალმომარაგებით და კანალიზაციით უზრუნველყოფა. ანტირაბიული ვაქცინისა და იმუნოგლობულინის შეუფერხებელი მიწოდება ამცრელ დაწესებულებაზე. შეტყობინების მიღებიდან მყისიერი რეაგირება, უკუკავშირი ვეტ. სამსახურთან. (ცხოველებზე ვეტ. კონტროლი); რაიონის მოსახლეობის გამოკვლევა C ჰეპატიტის და შიდსის ვირუსზე; საგანმანათლებო შინაარსის შეხვედრები მოსახლეობასთან; საინფორმაციო ბუკლეტების დარიგება; სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინის შემოტანა და მოსახლეობის ვაქცინაციის ჩატარება გარკვეულ ასაკობრივ ჯგუფებში; შშმ პირთა და მოხუცთა თავშესაფარში ბინადართა ვაქცინაციის ჩატარება ადგილზე.

**პროგრამა კავშირშია მდგრადი განვითარების შემდეგ მიზანათან**: SDG 3.

**5.2 პროგრამა -სოციალური პროგრამები (პროგრამული კოდი 0602)**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებისა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო ხარჯების ანაზღაურებას, აევე ბავშვთა მხარდაჭერის პროგრამის დაფინანსება. დაგეგმილია მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფა, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება, ავადმყოფთა დახმარება, სხვადასხვა ორგანიზების და ღონისძიებების სუბსიდირებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს.

**პროგრამის მიზანია**: მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

**პროგრამა კავშირშია მდგრადი განვითარების შემდეგ მიზანათან**: SDG 1, SDG 2, SDG 3.

**5.2.1 ქვეპროგრამა -ავადმყოფთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 060201)**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეებზე, რომლებიც საჭიროებენ დახმარებას, კერძოდ: ა) მოქალაქეს, რომელსაც ესაჭიროება გეგმიური და გადაუდებელი სტაციონარული-ქირურგიული ოპერაცია და სხვა სამედიცინო მომსახურება მიეცემათ 2000 (ორიათასი) ლარამდე ერთჯერადად, ხოლო მოქალაქეს, რომელიც

რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში (100001 ნაკლები ქულის მქონე პირი), შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის და ვეტერანის სტატუსის მქონე მოქალაქეს მიეცემა დახმარება ერთჯერადად არაუმეტეს 3000 (სამიათასი) ლარამდე თანხის ოდენობით; ბ) მოქალაქეები, რომლებსაც ესაჭიროებათ სხვადასხვა სახის კვლევა დაფინანსდებიან 500 (ხუთას) ლარამდე, ხოლო მოქალაქეს, რომელიც რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში (100001 ნაკლები ქულის მქონე პირი), შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის და ვეტერანის სტატუსის მქონე მოქალაქეს მიეცემა დახმარება ერთჯერადად, არაუმეტეს 1000 (ერთიათასი) ლარამდე თანხის ოდენობით; გ) ეპილეფსიით დაავადებულ მოქალაქეს (გარდა იმ პირისა, რომელიც დარეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და რომლის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100000), ეძლევა დახმარება ყოველთვიურად არაუმეტეს 50 (ორმოცდაათი) ლარამდე ოდენობით; დ) მოქალაქეები, რომლებიც თირკმლის უკმარისობის გამო, გადიან დიალიზით მკურნალობის კურსს სხვადასხვა ქალაქში მიეცემა დახმარება ყოველთვიურად 100 (ასი) ლარის ოდენობით, ხოლო მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე მოქალაქეს 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით; ე) ონკოჰემატოლოგიური დაავადების (ლეიკემია) მქონე არასრულწლოვან მოქალაქეს მიეცემა დახმარება ყოველთვიურად 200 (ორასი) ლარის ოდენობით, ხოლო სრულწლოვან მოქალაქეს მიეცემა დახმარება ყოველთვიურად 100 (ასი) ლარის ოდენობით; კ) დებულების ამ პუნქტით ვერ ისარგებლებს საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქე, რომელიც აპირებს სამედიცინო მომსახურება მიიღოს ან უკვე მიიღო იმ დაწესებულებაში, რომელიც გასულია საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამიდან, ასევე მოქალაქე, რომლის წლიური შემოსავალიც აღემატება 40000 (ორმოციათასი) ლარს, გარდა იმ მომსახურებებისა, რომლებიც არ ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. აღნიშნულ მომსახურებებს მერია დააფინანსებს 1000 (ათასი) ლარამდე თანხის ოდენობით.

**ქვეპროგრამის მიზანია**: მოსახლეობის სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და პროგრამით მოსარგებლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

**5.2.2 ქვეპროგრამა -შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 060202)**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მ.შ. ქალების, მამაკაცების, გოგონების, ბიჭების სოციალურ დახმარებას.

**ქვეპროგრამის მიზანია**: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქეების ფინანსური დახმარება.

**5.2.2.1 ღონისძიება -შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06020201)**

1. საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე, 0-18 წალამდე არასრულწლოვან მოქალაქეებს წელიწადში ერთჯერადად მიეცემათ 200 (ორასი) ლარი.

2. საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, რომელსაც ესაჭიროება ინდივიდუალური დამხმარე საშუალება და რომელიც არ ფინანსდება ან ნაწილობრივ ფინანსდება სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მიეცემა დახმარება ერთჯერადად, არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარამდე ოდენობით.

3. საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე /ეტლით მოსარგებლე, საწოლს მიჯაჭვული/ პირების ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფა, წელიწადში ერთჯერ, არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარამდე ოდენობით.

4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პერსონალური ასისტენტის მომზადებით უზრუნველყოფის საპილოტე ქვეპროგრამის განხორციელება. ეს პროგრამა ითვალისწინებს 12 პირის გადამზადებას, რომლებიც გაივლიან რეგულარულ და სპეციალიზირებული ასისტირების ტრენინგს, ასევე პერსონალური ასისტენტის მომსახურების მიწოდებას სტანდარტის შესაბამისად 4 თვის განმავლობაში ყოველთვიურად არანაკლებ 10 შშმ პირისთვის და შინმოვლის მრავალდარგობრივი გუნდის წევრების გადამზადებას, რომლებიც გაივლიან შინმოვლის ტრენინგს საჭირო აქტივობების განსახორციელებლად.

**ღონისძიების მიზანია:** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა /0-18 წალამდე არასრულწლოვანთა/ ფინანსური დახმარება; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მაქსიმალური ინტეგრაცია საზოგადოებაში, წვდომა საზოგადოებრივ სერვისებზე და მათთვის ადაპტირებული გარემოს ხელმისაწვდომობა. ამასთანავე შშმ პირებისათვის დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.

**5.2.2.2 ღონისძიება -საქართველოს ყრუთა კავშირის საჩხერის ფილიალის ხარჯების სუბსიდირება (პროგრამული კოდი 06020202)**

საქართველოს ყრუთა კავშირის საჩხერის ფილიალი ახორციელებს 6-18 წლამდე ბავშვზე ზრუნვას, აღნიშნულ ფილიალში ირიცხება 18 ბენეფიციარი მათ შორის 11 ვაჟი 7 გოგო.

პროგრამა ემსახურება 6 დან 18 წლამდე ასაკის შშმ ბავშვთა ფიზიკური, შემეცნებითი და ფსიქოლოგიური სერვისების მიწოდებას, რაც უზრუნველყოფს მათი თვითრწმენის გაძლიერებას, ინტელექტუალურ და შემოქმედებით განვითარებას, სოციალურ ინკლუზიას.

დღის ცენტრში ფუნქციონირებს მობილური ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებული არის მულტიდისციპლინარული ჯგუფით: სპეც პედაგოგი, ძიძა, ფსიქოლოგი, ექთანი, ღონისძიებების რეჟისორი, რომლებიც მუშაობენ შშმ ბენეფიციარებთან. სპეც პედაგოგი მუშაობს როგორც ბავშვებთან, ასევე მათ მშობლებთან, იმ ინდივიდუალური გეგმის მიხედვით, რომლებიც ერთობლივად შეადგინეს მშობლების ჩართულობით, სწავლის პროცესი მიმდინარეობს, როგორც თეორიული ცოდნის ათვისების, ასევე შესაბამისი პრაქტიკული სავარჯიშოების განხორციელებით, ბენეფიციარების შესაძლებლობის ინდივიდუალური უნარების შესაბამისად. საჭიროებისამებრ დღის ცენტრში ხდება ინდივიდუალური და გუნდური მუშაობა თითოეულ ბენეფიციართან. ხდება ბენეფიციარების ტრიგერების შეფასება. ქცევის მართვის პროგრამის დაგეგმვა, განხორციელება. ბენეფიციართა ფსიქოლოგიური შეფასება სენსორული და ფუნქციური უნარების განვითარება. მეტყველების ფიზიკური და აკადემიური უნარების განვითარება.

**ქვეპროგრამის მიზანია**: შშმ პირთა სოციალური ინკლუზიის და ცხოვრების ხარისხის გაზრდის ხელშეწყობა, 6-14 წლამდე ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა; 14-18 წლამდე წინარე პროფესიული მომზადება.

**5.2.3 ქვეპროგრამა -ომისა და შრომის ვეტერანებზე და მათ ოჯახებზე ფულადი ფორმით გასაცემი დახმარებები (პროგრამული კოდი 060203)**

საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ომის მონაწილე ვეტერანს, რომელიც ასევე არის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მიეცემა დახმარება ერთჯერადად 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

**ქვეპროგრამის მიზანია:** ომის მონაწილე ვეტერანთა, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ვეტერანების მხარდაჭერა.

**5.2.4 ქვეპროგრამა -ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 060204)**

1. საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეს, რომელსაც შეეძინება მეოთხე ან/და მეხუთე შვილი (0-18 წლის ჩათვლით) მიეცემა დახმარება ერთჯერადად 300 (სამასი) ლარის ოდენობით, ხოლო მეექვსე და მეტი შვილის შეძენის შემთხვევაში (0-18 წლის ჩათვლით), 1000 (ერთიათასი) ლარის ოდენობით. 2. საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ხანდაზმულს (100 წელი და ზევით) მიეცემა დახმარება ერთჯერადად 1000 (ერთიათასი) ლარის ოდენობით. 3. აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის საფასურის თანადაფინანსება ხდება 700 (შვიდასი) ლარამდე ოდენობით. ერთჯერადად გაეწევათ დახმარება: დედით ან მამით ობოლ, მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე, მრავალშვილიან ოჯახში მცხოვრებ (4 და მეტი შვილი, 20 წლის ჩათვლით), სოციალურად დაუცველ ოჯახში მცხოვრებ (რომელთაც აქვთ მინიჭებული 100000 ჩათვლით სარეიტინგო ქულა), საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული მშობლის და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მშობლის სტუდენტებს, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სტუდენტი დაფინანსდება 1000

(ერთიათასი) ლარამდე ოდენობით. 4. საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და მუდმივად მცხოვრებ ოჯახებს, რომლებიც ცხოვრობენ სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველ მძიმე საცხოვრებელ პირობებში, იმყოფებიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში (100001 ნაკლები ქულის მქონე ოჯახი), არ აქვთ ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი და საკუთარი სახსრებით ეწევიან საცხოვრებელი სახლის აღდგენა-გამაგრებით სამუშაოებს, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით მიეცემათ დახმარება ერთჯერადად არაუმეტეს 5000 (ხუთიათასი) ლარამდე ოდენობით. 5. საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეს განსაკუთრებულ შემთხევაში, მიეცემა დახმარება ერთჯერადად, არაუმეტეს 5000 (ხუთი ათასი) ლარამდე ოდენობით. 6. ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის მონაწილეზე, რომელიც რეგისტრირებულია საჩხერის სოციალური მომსახურების სააგენტოში გაიცეს დახმარება ერთჯერადად 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

**ქვეპროგრამის მიზანია:** მრავალშვილიან და გაჭირვებულ ოჯახთა დახმარება, ასევე სტუდენტთა თანადაფინანსება, ჩერნობილელთა დახმარება.

**5.2.5 ქვეპროგრამა -მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 060205)**

საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დედით ან მამით ობოლ არასრულწლოვან მოქალაქეს მიეცემა დახმარება ერთჯერადად თითოეულ ბავშვზე 200 (ორასი) ლარის ოდენობით; საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე მოქალაქეს მიეცემა დახმარება ერთჯერადად 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

**ქვეპროგრამის მიზანია**: მარჩენალდაკარგული ოჯახების და მარტოხელა დედების/მამების დახმარება.

**5.2.6 ქვეპროგრამა - უფასო სასადილოს დაფინანსება (პროგრამული კოდი 060206)**

საჩხერის მუნიციპალიტტეის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სოციალურად შეჭირვებულ მოქალაქეს უფასო სადილით უზრუნველყოფის მიზნით გაეწევა დახმარება და დღეში ერთჯერადად მიეცემათ უფასო სადილი (მენიუს შესაბამისად).

**ქვეპროგრამის მიზანია**: სოციალურად შეჭირვებული ბენეფიციარების ,,უფასო სადილით“ მომსახურება.

**5.2.7 ქვეპროგრამა - სარიტუალო ხარჯები (პროგრამული კოდი 060207)**

1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ანაზღაურდება შემდეგი სახის სარიტუალო მომსახურება 250 ლარის ოდენობით:

ა) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ ვეტერანთა სარიტუალო მომსახურება;

ბ) სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე მებრძოლ ვეტერანთა სარიტუალო მომასხურება;

გ) მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ვეტერანთა სარიტუალო მომსახურება.

2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ანაზღაურდება უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

**ქვეპროგრამის მიზანია:** პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების მაქსიმალური მხარდაჭერა.

**5.2.8 ქვეპროგრამა - საჩხერე-პერევის და პერევი-საჩხერის საავტობუსო რეისების სუბსიდირება**

**(პროგრამული კოდი 060208)**

საჩხერის მუნიციპალიტეტის საზღვრისპირა სოფლების მოსახლეობის საჩხერე-პერევი, პერევი-საჩერის მიმართულებით ხორციელდება სოფელების, პერევის და ქარძმანამდე მცხოვრები მოქალაქეებისათვის უფასო ტრანსპორტით მომსახურება. პერევის მიმართულებით მოსახლეობას ემსახურება 2 მძღოლი

მიკრო ავტობუსით კვირაში 4 რეისი, ხოლო სოფელ ქარძმანამდე მიმართულებით ემსახურება 1 მძღოლი მიკრო ავტობუსით კვირაში 3 რეისი.

**ქვეპროგრამის მიზანია:** საზღვრისპირა სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის უფასო ტრანსპორტით მომსახურება.

**5.2.9 ქვეპროგრამა -სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარება (პროგრამული კოდი 060209)**

საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეს, რომელსაც სტიქიური უბედურების/ხანძრის შედეგად დაეწვა საცხოვრებელი სახლი, მიეცემა დახმარება 6000 (ექვსი ათასი) ლარამდე ოდენობით.

**ქვეპროგრამის მიზანია:** ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების მაქსიმალური მხარდაჭერა.

**5.2.10 ქვეპროგრამა -საცხოვრებლით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 060210)**

1. საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეს, რომელსაც არ აქვს თავშესაფარი, საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით, ბინის დაქირავებისათვის მიეცემა დახმარება 250 ლარის ოდენობით.

2. სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და გადაადგილებას დაქვემდებარებულ, საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ოჯახებს (ეკომიგრანტებს) ბინის დაქირავებისათვის მიეცემათ დახმარება ყოველთვიურად 600 ლარამდე თანხის ოდენობით (თანხის ოდენობა განისაზღვრება სამუშაო ჯგუფის მიერ ოჯახში ფაქტიურად მცხოვრებ წევრთა რაოდენობის მიხედვით). ბინის დაქირავება მოქალაქემ უნდა უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის იმ ადმინისტრაციულ ერთეულში, სადაც თვითონ არის რეგისტრირებული, გარდა ისეთი გამონაკლისისა, როდესაც კონკრეტულ ადმინისტრაციულ ერთეულში ფიზიკურად არ მოიძებნება გასაქირავებელი ფართი. ეკომიგრანტ ოჯახებზე, მუნიციპალიტეტის მიერ ბინის დაქირავებისათვის დახმარების მიცემა განხორციელდება, დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღებიდან 6 თვის განმავლობაში.

**ქვეპროგრამის მიზანია:** შეჭირვებულ, თავშესაფრის არმქონე ოჯახების დახმარება-ბინით უზრუნველყოფა

**5.2.11 ქვეპროგრამა -ბავშვთა მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 060211)**

საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და მუდმივად მცხოვრებ ბავშვიან ოჯახს, რომელიც ცხოვრობს სოციალური საფრთხის წინაშე და ესაჭიროება დაცვა, მხარდაჭერა და გაძლიერება, ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის შეფასების დოკუმენტის ინტერდისციპლინარული განხილვის საფუძველზე შედგენილი სამოქმედო გეგმის შესაბამისად განსაზღვრულ ოჯახს, მიეცემა დახმარება ერთჯერადად არაუმეტეს 3000 (სამი ათასი) ლარამდე თანხის ოდენობით.

**ქვეპროგრამის მიზანია:** გაჭირვებულ, სოციალურად დაუცველთა ოჯახთა, (სარეიტინგო ქულა 120 000-ის ჩათვლით); მარჩენალდაკარგულთა მშობლის, მშობლების მეურვის, მარტოხელა მშობლის, მარჩენალგარდაცვლილთა, ავადმყოფთა, მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ პირობებში მცხოვრებთა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა, (0-18 წლის ჩათვლით), მრავალშვილიანთა (0-18 წლის ჩათვლით) და ძალადობის მსხვერპლთა დახმარება.

**5.3 პროგრამა -ინტეგრირებული დღის ცენტრი (პროგრამული კოდი 0604)**

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება და მისი ფილიალი საჩხერეში თავისი პრიორიტეტებიდან და განსაზღვრული მანდატიდან გამომდინარე ცდილობს წვლილი შეიტანოს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში ადგილობრივ ხელისუფლებასთან მჭიდრო თანამშრომლობით, რისთვისაც ის თავის რესურსსა და გამოცდილებას იყენებს მოსახლეობის კეთილდღეობისა და ღირსეული გარემოს შექმნისათვის.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების საჩხერის ფილიალი მრავალი წელია აქტიურად ახორციელებს მოწყვლადი ჯგუფების სოციალურ მხარდაჭერასა და კატასტროფების რისკის შემცირების შესაძლებლობების გაზრდაზე ორიენტირებულ საქმიანობებს. იგი ასევე მუშაობს ახალგაზრდების გაძლიერების და მოხალისეთა ინიციატივების განვითარების მიმართულებით, კვალიფიციურ მოხალისეთა ქსელის საშუალებით აწვდის სხვადასხვა სახის სერვისებს დაუცველ ჯგუფებს, აქტიურად და მჭიდროდ თანამშრომლობს ადგილობრივ ხელისუფლებასთან. თვალსაჩინო და ხელშესახებია სარგებელი როგორც მიზნობრივი ჯგუფებისათვის, ასევე მთლიანად თემის წევრებისათვის. სასწავლო ტრენინგ მოდულებისა და კვალიფიციური ტრენერების არსებობა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად საშუალებას აძლევს განახორციელოს როგორც თემის წევრების სწავლება, ასევე მოახდინოს სათანადო რეაგირება საჭიროებებზე და გამოწვევებზე დაყრდნობით.

პროექტი საშუალებას მისცემს თემს შეისწავლოს და პრაქტიკაში გამოიყენოს ის ცოდნა და გამოცდილება, რომელსაც წითელი ჯვრის საზოგადოება გადასცემს თემის წევრებს თავის პარტნიორებთან ერთად. თემის წევრებს მიღებული ცოდნა და გამომუშავებული უნარ-ჩვევები საშუალებას მისცემს უსაფრთხო და სტაბილური თემების ჩამოყალიბებაში, რომელსაც შესწევს უნარი ადგილობრივ ხელისუფლებასთან და საჩხერის წითელი ჯვრის გუნდთან კოორდინირებაში მოახდინონ კატასტროფების მიმართ მოწყვლადობის რისკის შემცირება და გაუმკლავდნენ ადგილზე წარმოქმნილ სხვადასხვა ტიპის გამოწვევებს, მათ შორის: ჯანდაცვაზე და სოციალურ კეთილდღეობაზე ხელმისაწვდომობის გაზრდით. შეთავაზებული პროექტის განხორციელებით, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას და საჩხერის ფილიალს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს კატასტროფებისადმი მოწყვლადი ჯგუფების, ახალგაზრდების, ხანდაზმულების და მთლიანად თემის ჯანმრთელობისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასა და შენარჩუნებაში, მათ გაძლიერებასა და მათივე პრობლემების ადვოკატირებაში. მობილიზებული პარტნიორები, თემის წევრები, სერვისების მიწოდებასა და განხორციელებაში გაწრთვნილი მოხალისეები კი არის შეთავაზებული პროექტის წარმატებით შესრულების გარანტი.

**პროგრამის მიზანია:** უსაფრთხო თემების ჩამოყალიბების/განვითარების ხელშეწყობა კატასტროფებისთვის მზადებით, ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის გაზრდითა და სოციალური მხარდაჭერით. ჩამოყალიბებულია კარგად ფუნციონირებადი ინტერგრირებულ საქმიანობათა ცენტრი, რომელიც ემსახურება საზოგადოებაში ხანდაზმულთა ინტეგრაციასა და სოციალური იზოლაციის რღვევას და ფუნქციონირებს პერსონალის, მოხალისეებისა და ბენეფიციარების თანამონაწილეობით. ახორციელებენ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას და უნარ-ჩვევების განვითარებას; მათ ასევე რეგულარულად მიეწოდებათ ინფორმაცია თავიანთ უფლებებსა და შეღავათებზე. ჩამოყალიბებულია საქმიანობათა ჯგუფები, რომელთა მართვა ხორციელდება ჯგუფის ლიდერების მიერ. ტარდება რეგულარული ტრენინგები და წამახალისებელი ღონისძიებები მოხალისეთათვის. შერჩეული, გადამზადებული და აღჭურვილია მოხალისეთა მობილური ჯგუფი კატასტროფებზე სწრაფი და ეფექტური რეაგირებისათვის. კვალიფიციური მოხალისეები ახორციელებენ რეგულარულ ვიზიტებს ბინაზე უმწეო ხანდაზმულთათვის უსაფთხო გარემოსა და ცხოვრების ხარისხის შენარჩუნების მიზნით.

## მუხლი 18. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯი

პრიორიტეტი მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, როგორიცაა მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შენახვის ხარჯები, მათ შორის: შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება და სხვა. ასევე, მოიცავს ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხის პროცენტისა და ძირი თანხების დაფარვა, კერძოდ "საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის" ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში გადასახდელი ძირი

და დარიცხული საპროცენტო თანხის გადახდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთის ცვლილების შესაბამისად.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 6264,1 ათასი ლარი. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2024 წლის გეგმა |
|---|---|---|
| 01 00 | **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯი** | 6,264.1 |
| 01 01 | **საკონონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა** | 5,934.8 |
| 01 01 01 | საჩხერის საკრებულო | 1,412.3 |
| 01 01 02 | საჩხერის მერია | 4,508.5 |
| 01 01 04 | კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯები | 14.0 |
| 01 02 | **საერთო დანიშნულების ხარჯები** | 329.3 |
| 01 02 01 | სარეზერვო ფონდი | 200.0 |
| 01 02 02 | წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა | 35.3 |
| 01 02 03 | მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა | 89.1 |
| 01 02 04 | გენდერული თანასწორობის საბჭოს ხელშეწყობა | 4.9 |

**6. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯი (პროგრამული კოდი 0100)**

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფის დაფინანსება. ამავე პრიორიტეტიდან ფინანსდება საერთო დანიშნულების ხარჯები, როგორებიცაა სარეზრვო ფონდი, წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა; მუნიციპალიტეტის ვალდებულბებების (სესხები) მომსახურება და დაფარვა; გენდერული თანასწორობის საბჭოს ხელშეწყობა.

**პრიორიტეტი კავშირშია მდგრადი განვითარების შემდეგ მიზანათან**: SDG 5, SDG 16.

**მუხლი 19. პრიორიტეტების /პროგრამების/ ქვეპროგრამების მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორები**

ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტებით/პროგრამებით/ქვეპროგრამებით მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორები ინფორმაციული სახით წარმოდგენილია ბიუჯეტზე თანდართულ ბიუჯეტის პროგრამულ დანართში.

# თავი III. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

## მუხლი 20. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის ფაქტი | | | 2024 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| სულ | საჩხერის მუნიციპალიტეტი | 43,924.2 | 45,634.6 | 19,659.7 | 25,974.9 | 60,283.0 | 29,679.2 | 30,603.8 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 171.0 | 168.0 | 0.0 | 168.0 | 161.0 | 0.0 | 161.0 |
| | ხარჯები | 16,562.0 | 19,045.9 | 2,069.9 | 16,976.0 | 21,590.1 | 2,204.4 | 19,385.7 |
| | შრომის ანაზღაურება | 3,276.3 | 3,576.4 | 209.7 | 3,366.7 | 3,822.2 | 0.0 | 3,822.2 |
| | საქონელი და მომსახურება | 2,684.5 | 3,227.1 | 1,511.9 | 1,715.2 | 4,288.0 | 1,683.3 | 2,604.7 |
| | პროცენტი | 36.8 | 27.2 | 0.0 | 27.2 | 14.7 | 0.0 | 14.7 |
| | სუბსიდიები | 8,317.7 | 10,109.5 | 147.2 | 9,962.3 | 11,240.3 | 258.0 | 10,982.3 |
| | გრანტები | 44.2 | 51.7 | 0.0 | 51.7 | 69.5 | 0.0 | 69.5 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 1,088.0 | 1,210.4 | 8.5 | 1,201.9 | 1,325.5 | 23.0 | 1,302.5 |
| | სხვა ხარჯები | 1,114.5 | 843.6 | 192.6 | 651.0 | 829.9 | 240.1 | 589.8 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 27,287.8 | 26,514.3 | 17,589.8 | 8,924.5 | 38,618.5 | 27,474.8 | 11,143.7 |
| | ვალდებულებების კლება | 74.4 | 74.4 | 0.0 | 74.4 | 74.4 | 0.0 | 74.4 |
| 01 00 | მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯი | 5,121.6 | 5,368.2 | 209.7 | 5,158.5 | 6,264.1 | 0.0 | 6,264.1 |
